

საია მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, არ დაუშვან კანონპროექტის ინიცირება, რომელიც მიზნად ისახავს ამნისტიის გავრცელებას 2019 წლის 20-21 ივნისს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე

2021 წლის 19 აპრილს საიამ მედიაციის პროცესში ჩართულ მხარეებს მოუწოდა, ხელი მოეწერათ ევროპული საბჭოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ კომპრომისულ წინადადებაზე, თუმცა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ **შეთანხმების იმპლემენტაცია უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.**

შეთანხმების დოკუმენტის ერთ-ერთი საგანი პოლიტიზირებულ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე რეაგირებაა. შესაბამისი პუნქტის თანახმად, Ḍ□□□□□□□□□□□ პოლიტიკური სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე და ამ შეთანხმების შესრულების მიზნით, ხელმომწერები ვალდებულებას იღებენ, ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი კვირის ვადაში, ამნისტიის საშუალებით და / ან ისეთი ზომების მიღებით, რომელიც ანალოგიურ შედეგს გამოიღებს, რეაგირება მოახდინონ პოლიტიზებულ მართლმსაჯულებად აღქმულ **ორ საქმეზე.**[1] კერძოდ, ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი კვირის ვადაში, პარლამენტში წარმოდგენილმა პარტიამ უნდა დააინიციროს ამნისტიის შესახებ კანონი, რომელიც 2019 წლის 19 21 ივნისის პროტესტებთან დაკავშირებულ ყველა დარღვევასა და დაკავებას შეეხება.“

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, საია იცავს 20-21 ივნისის აქციის დროს დაზარალებულ პირთა (როგორც დემონსტრანტების, ისე ჟურნალისტების) ინტერესებს როგორც ეროვნულ დონეზე, ისე ევროპულ სასამართლოში. 2019 წლის 20-21 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აქციის დაშლა აქციაზე მყოფი პირების უფლებების მასშტაბურ დარღვევაში გადაიზარდა. დაზარალებულთა მიმართ გამოყენებული ძალის უკანონობა და არაპროპორციულობა, დაკავების და შემდგომ პერიოდში არასათანადო მოპყრობა, ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ხელშეშლა, აქტიური სპეციალური საშუალებების საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებული პრობლემები, და გამოძიების არაეფექტიანობა, თავისი არსით, იწვევს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა), როგორც მატერიალური, ისე პროცედურული ასპექტის დარღვევას.

საია ხაზგასმით განმარტავს, რომ დაუშვებელია ამნისტიის/შეწყალების გამოყენება სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ ადამიანის უფლებათა წინააღმდეგ ჩადენილ სერიოზულ დანაშაულებთან მიმართებით, მათ შორის, არაადამიანური/დამამცირებელი მოპყრობის დროს.

ამნისტიის გამოყენება იმ პირებთან მიმართებით, რომლებმაც არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის დანაშაულები ჩაიდინეს (იმის მიუხედავად, ეროვნულ დონეზე გამოძიება სწორი კვალიფიკაციით მიმდინარეობს თუ არა), კონვენციის მე-3 მუხლს ეწინააღმდეგება, რადგან მსგავსი ქმედება აბრკოლებს ამგვარ დანაშაულებზე წარმოებულ გამოძიებას და, ამავდროულად, იწვევს პასუხისმგებელ პირთა დაუსჯელობას. ასეთი შედეგი კი, არასათანადო მოპყრობის აკრძალვით შექმნილ დაცვის გარანტიებს ილუზორულად აქცევს,[2] და, იმავდროულად, მსუსხავი ეფექტი აქვს პირთა მიერ შეკრების ან/და გამოხატვის თავისუფლებით დაუბრკოლებლად სარგებლობის კუთხით.

საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ საქმეებში (იხ. ვაზაგაშვილი და შანავა საქართველოს წინააღმდეგ,[3] გირგვლიანი და ენუქიძე საქართველოს წინააღმდეგ[4]) ევროპულმა სასამართლომ მკაცრად გააკრიტიკა ის ფაქტი, რომ კანონმდებელმა ამნისტიის შესახებ კანონის მიღებისას სათანადო ყურადღება ~~არ გაამახვილა სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ (იქნება ეს დაბალი თუ მაღალი რანგის სამართალდამცავი) ჩადენილი სერიოზული გადაცდომის სრული სიმკაცრით დასჯის აუცილებლობაზე.~~ ამასთან დაკავშირებით სასამართლომ კიდევ ერთხელ განმარტა საერთაშორისო სამართლით დადგენილი სტანდარტი, რომ სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიმართ ამნისტიის ან შეწყალების გამოყენება არ უნდა იყოს დაშვებული ადამიანის უფლებათა სერიოზულ დარღვევებთან დაკავშირებით, მათ შორის, არაადამიანურ/დამამცირებელ მოპყრობასთან მიმართებით.[5] იმავე მიდგომას იზიარებს **ინტერ-ამერიკული სასამართლო**,[6] **გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი**,[7] **გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია,**[8]**გაეროს წამების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტი,**[9] **გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო,**[10] **ეუთო**[11]და **ევროპული პარლამენტი**.[12]

შესაბამისად, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის წინააღმდეგ ჩადენილ სერიოზულ დანაშულებში (იმის მიუხედავად, თუ ეროვნულ დონეზე რა კვალიფიკაციით იქნება საქმე წარმოებული),სახელმწიფოს წარმომადგენელ პასუხისმგებელ პირთა მიმართ ამნისტიის და შეწყალების გამოყენება არის საერთაშორისო სამართლის დარღვევა. საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებიც ამგვარ აკრძალვას ითვალისწინებენ, საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია, და, კონსტიტუციის შემდეგ იერარქიით ყველაზე მაღლა დგას, შესაბამისად, საქართველო მათ შესრულებაზე ვალდებულია როგორც საერთაშორისო ორგანოების, ისე, საკუთარი მოქალაქეების წინაშე.

საია მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, არ დაუშვან კანონპროექტის ინიცირება, რომელიც მიზნად ისახავს ამნისტიის გავრცელებას 2019 წლის 20-21 ივნისს სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე (იმის მიუხედავად, გამოძიება

რა კვალიფიკაციით მიმდინარეობს). წინააღმდეგ შემთხვევაში, საფრთხის ქვეშაა არა მხოლოდ დამნაშავის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ საზოგადოების ნდობა და პატივისცემა სამართალდამცავი სისტემისადმი, ასევე, სახელმწიფოს ვალდებულების შესრულება, ებრძოლოს დაუსჯელობის განცდას, რომელიც დამნაშავეს შეიძლება გაუჩნდეს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო. შედეგად კი, სხვა სიკეთეთა შორის, ასევე, მნიშვნელოვანი ზიანი ადგება ადამიანების შეკრებისა თუ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის უფლებას.

---

[1] იგულისხმება ნიკა მელიასა და გიორგი რურუას წინააღმდეგ არსებული სისხლის სამართლის საქმეები.

[2] *Margus v. Croatia*, no. 4455/10, 27.05.2014, § 127; *McCann and Others v. the United Kingdom*, Series A no. 324, 27.09.1995, § 146; იმავე მიდგომა არის გაზიარებული CAT-ის მიერ, Ą□□□ Committee has also continuously criticized amnesty laws and stressed that waivers of prosecution and statutes of limitations do not apply under any circumstance to the crime of torture. □ - CAT, □□□□□□□□□□□ Observations: Algeria □ (2008) UN Doc CAT/ C/ DZA/ CO/ 3, para 11; CAT, □□□□□□□□□□□ Observations: Yugoslav Republic of Macedonia □ (2015) UN Doc CAT/ C/ MKD/ CO/ 3, para 16; cited in: The United Nations Convention Against Torture and Its Optional Protocol, Commentary, Second Edition, by Nowak M., Birk M., Monina G.,Oxford University Press, 2019, 342.

[3] *Vazagashvili and Shanava v. Georgia*. no. 50375/07, 18.07.2019, § 92.

[4] *Enukidze and Girgvliani v. Georgia*, no. 25091/07, 16.04.2011, § 274.

[5] შდრ., მრავალ სხვას შორის, *Nina Kutsenko v. Ukraine*, no 25114/11, 18.07.2017, § 149; *Yeter v. Turkey*, no. 33750/03, 13.01.2009, § 70, *Ali and Ayşe Duran v. Turkey*, no. 42942/02, 08.04.2008, § 69; N*ikolova and Velichkova v. Bulgaria,* no. 7888/03, 20.12.2007, § 63.

[6] Barrios Altos v. Peru judgment, Series C No. 75 [2001], IACHR 5, 14.03.2001, § 41.

[7] Human Rights Committee, General Comment No. 20, Article 7 (Prohibition of torture, or other cruel, inhuman or degrading treatment or punishment), HRI/GEN/1/Rev.9 (Vol. I), 10.03.1992, § 15; Human Rights Committee, General Comment No 31 [80], The Nature of the General Legal Obligation Imposed on States Parties to the Covenant, 26.05.2004, § 18.

[8] UN Commission on Human Rights, Commission on Human Rights Resolution 2004/72: Impunity, E/CN.4/RES/2004/72, 21.04.2004, § 3.

[9] Committee Against Torture, Concluding observations on the third periodic report of Tajikistan, CAT/C/TJK/CO/3, 18.06.2018, §§ 13-4.

[10] United Nations Economic and Social Council, Commission on Human Rights Sub-commission on Prevention and Discrimination and Protection of Minorities, 39th Session, The Administration of Justice and the Human Rights of the Detainees, Question of Human Rights of Persons Subjected to Any Form of Detention or Imprisonment, Study on Amnesty Laws and Their Role in the Safeguard and Promotion of Human Rights, Preliminary Report of Mr. Luis Joinet, Special Rapporteur, 21.07.1985, §§ 60-76.

[11] OSCE / ODIHR, Eliminating Incentives For Torture in the OSCE Region, Baseline Study and Practical Guidance, 2020, pg. 64, §4. იხ. ასევე, Recommendations to OSCE participating States, international conference on in the Fight against Torture: Trends in the OSCE region and the way forward, A 2019,Recommendation 16.

[12] European Parliament, REPORT of the Committee on Foreign Affairs and Security on Human rights in the world and Community human rights policy for the years 1991-1992, Rapporteur: Mrs. Marlene LENZ, A3-0056/93/PART A, 18.02.1993, § 7.